მომხმარებლის შეთანხმება
მოხმარების პირობები

შენი თანხმობა
წინამდებარე საიტი ეკუთვნის Mondelēz International Inc. ("მონდელის"). კომპანია "მონდელის"იყენებს ამ საიტს და გაძლევთ თქვენ მასზე წვდომის საშუალებას საინფორმაციო მიზნებისთვის. ამ საიტზე შესვლის ან მისი გამოყენებისას თქვენ ეთანხმებით წინამდებარე მოხმარების პირობებს და ადასტურებთ, რომ ეთანხმებით ჩვენს კონფიდენციალურობის პოლიტიკას. თუ თქვენ არ ეთანხმებით მოხმარების პირობებს და კონფიდენციალურობის პოლიტიკას, თქვენ არ შეგიძლიათ ისარგებლოთ მოცემული საიტით.

საიტის გამოყენების წესები
თუ რაიმე სხვა არ არის მითითებული, წინამდებარე საიტი განკუთვნილია თქვენი პირადი არაკომერციული გამოყენებისთვის. თქვენ არ შეგიძლიათ შეცვალოთ, დააკოპიროთ, გაავრცელოთ, გადასცეთ, აჩვენოთ, შეასრულოთ, აწარმოოთ, გამოსცეთ, ლიცენზირება გაუკეთოთ, შექმნათ მისგან წარმოებული ნამუშევრები ან გაყიდოთ ნებისმიერი ინფორმაცია, პროგრამული უზრუნველყოფა, პროდუქტები და მომსახურეობა, რომელიც მიიღეთ საიტიდან. თქვენ შეგიძლიათ, თქვენი საკუთარი არაკომერციული გამოყენებისათვის, აჩვენოთ და ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დააკოპიროთ, ჩამოტვირთოთ და დაბეჭდოთ იმ მასალის ფრაგმენტები რომელსაც შეიცავს საიტი, იმ პირობით, რომ თქვენ არ შეცვლით ან არ წაშლით რაიმე ცნობას საავტორო უფლების შესახებ, სავაჭრო ნიშნის შესახებ ან რაიმე სხვა საკუთრების უფლების მითითებას. საიტზე განთავსებული მასალის ნებისმიერი სხვა გამოყენება მოდიფიკაციის, რეპროდუქციის, გავრცელების, ხელახალი გამოქვეყნების, ჩვენების ან საიტის კონტენტის გადაცემის ჩათვლით, მაგრამ არა მხოლოდ, კომპანია "მონდელის"-ის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე, აკრძალულია.
ნებისმიერი მასალა, რომელსაც თქვენ ჩამოტვირთავთ საიტიდან, მათ შორის, პროგრამული უზრუნველყოფის, ფაილების, გრაფიკის, მონაცემების ან სხვა მონაცემების ჩათვლით, მაგრამ არა მხოლოდ, ეკუთვნის კომპანია "მონდელის"-ს ან მის ლიცენზიატორებს. როცა თქვენ ჩამოტვირთავთ ამ მასალას, „მონდელისი“ თქვენ მას გაწოდებთ ლიცენზიით, რომელიც გამოხმობადია. „მონდელისი“ იტოვებს საკუთრების სრულ უფლებას პროგრამულ უზრუნველყოფაზე და ყველა მასთან დაკავშირებულ ინტელექტუალური საკუთრების უფლებაზე. თქვენ არ შეგიძლიათ გაავრცელოთ ან გაყიდოთ ეს მასალები ან განახორციელოთ მისი კონსტრუქციის შეცვლა, მოახდინოთ უკუანსამბლირება ან სხვანაირად, სხვა სახით გადაასხვაფეროთ ის და მისცეთ ნებისმიერი სხვა ფორმა, რომელიც ადამიანასთვის იქნება გამოყენებადი.

თქვენს მიერ მოწოდებული მასალები
თქვენ ადასტურებთ, რომ პასუხისმგებელი ხართ თქვენს მიერ მოწოდებულ ნებისმიერ მასალაზე, ისე ასპექტებზე პასუხისმგებლობის ჩათვლით, როგორიცაა კანონიერება, საიმედოობა, მიზანშეწონილობა, ავთენტურობა და საავტორო უფლებე ნებისმიერ ასეთ მასალასთან მიმართებით. თქვენ არ შეგიძლიათ საიტზე გადააგზავნოთ, გაავრცელოთ საიტის საშუალებით სხვაგვარად გამოაქვეყნოთ ნებისმიერი მასალა, რომელიც არის ცილისმწამებლური,

მადისკრედიტირებელი, უხამსი, მუქარის შემცველი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ან ინფორმაციის საჯაროების დამრღვევი, შეურაცხმყოფელი, უკანონო ან სხვაგვარად არასასურველი, ან რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს სისხლის სამართლის დანაშაულს ან ახალისებდეს მას, არღვევდეს ნებისმიერი პირის უფლებებს ან სხვაგვარად წარმოშობდეს პასუხისმგებლობას ან არღვევდეს ნებისმიერ კანონს. თქვენ არ შეგიძლიათ განათავსოთკომერციული შინაარსის ინფორმაცია.
ნებისმიერი პირადი ინფორმაციის გარდა, რომელიც ჩვენ შეიძლება მივიღოთ თქვენგან ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად, ყველა შენიშვნა, წინადადება, იდეა, გრაფიკა ან სხვა ინფორმაცია, რომელსაც თქვენ გადასცემთ კომპანია“ მონდელის“-ს ამ საიტის მეშვეობით, ხდება კომპანია „მონდელის“-ის საკუთრება, მაშინაც კი, თუ ეს შეთანხმება შემდგომში შეწყდება. კომპანია „მონდელის“ და მის უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ, დააკოპირონ, გახსნან, გაავრცელონ, გააერთიანონ და სხვაგვარად გამოიყენონ თქვენს მიერ მოწოდებული მასალები ნებისმიერი და ყველა კომერციული ან არაკომერციული მიზნებისთვის, ყოველგვარი ვალდებულების გარეშე, კომპენსაცია მოგცეთ თქვენ ან სხვებს ასეთი მასალებისთვის.

უარი

კომპანია „მონდელის“ არ აკეთებს არანაირ განცხადებას და არ იძლევა არანაირ გარანტიას ამ საიტის შინაარსის სიზუსტესა ან სისრულესთან მიმართებით. მოცემული საიტი და მასალები, ინფორმაცია, სერვისები და პროდუქტები, რომლებიც წარმოდგენილია ამ საიტზე, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ ტექსტი, გრაფიკა და ბმულები, წარმოდგენილი პირობით "როგორც არის" და ყველანაირი გარანტიის გარეშე, თუნდაც ის იყოს ცალსახად გამოხატული ან ნაგულისხმევი. სრული სისრულით, რომელიც დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია „მონდელისი“ უარს ამბობს წარმოადგინოს რაიმე გარანტია, თუნდაც ის იყოს ცალსახად გამოხატული ან ნაგულისხმევი, მათ შორის, მაგრამ არ მხოლოდ, ნაგულისხმევი გარანტიები სასაქონლო ან კომერციული მიზნებისათვის გამოსადეგი, გარანტია დარღვევების არარსებობის შესახებ, კომპიუტერული ვირუსების შესახებ,რომელიც შეიძლება წარმოიშვას საქმიანი აქტოვობის წარმოების შედეგად ან სამუშაოს შესრულების პროცესში. კომპანია „მონდელისი“ არ აკეთებს არავითარ განცხადებებს და არ იძლევა გარანტიას, რომ საიტზე არსებული ფუნქციები იმოქმედებს განუწყვეტლივ ან იქნება თავისუფალი შეცდომებისაგან, რომ გამოსწორდება დეფექტები, ან საიტს ან სერვერს, რომელიც უზრუნველყოფს საიტზე წვდომას, არ აქვს ვირუსები ან სხვა მავნე კომპონენტები.
კომპანია „მონდელისი“ არ აკეთებს არავითარ განცხადებებს და არ იძლევა არავითარ გარანტიას ამ საიტზე განთავსებულ მასალებთან მიმართებით, რომელიც ეხება მის სისრულეს, სისწორეს, სიზუსტეს, ადეკვატურობას, სარგებლიანობას, ადეკვატურობას, საიმედოობას და სხვა. გარდა ზემოაღნიშნულისა, თქვენ (და არა მონდელისმა) უნდა გაიღოთ ყველა ხარჯები აუცილებელი მომსახურების, რემონტის ან შეკეთებისათვის. ზოგიერთ სახელმწიფოში კანონი არ იძლევა უფლებას დაშვებული იყოს პასუხისმგებლობის აღებაზე ასეთი უარი და ამიტომ ზემოთ მითითებული სამართლებრივი დათქმა შეიძლება არ გავრცელდეს თქვენზე.

პასუხისმგებლობის უარყოფა

არავითარ შემთხვევაში, კომპანია „მონდელისი“ არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერ პირდაპირ, ირიბ, სპეციალურ, საჯარიმო, გაუთვალისწინებელ, ტიპურ ან დამდგარ ზარალზე ან ნებისმიერ

ზარალზე, მაშინაც კი, თუ კომპანია „კრაფტი“ წინასწარ იყო გაფრთხილებული ასეთი ზარალის შესაძლებლობის შესახებ, რომელიც წარმოიქმნება ან კონტრაქტის შესრულების გამო ან დაუდევრობის გამო, ან რაიმე სხვა ნებისმიერი მიზეზის გამო, მოცემულ საიტზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის, მომსახურეობის, პროდუქტებისა და მასალების გამოყენების საფუძველზე, ან ამასთან დაკავშირებით. ეს შეზღუდვები ვრცელდება სამართლებრივი დაცვის ნებისმიერი შეზღუდული საშუალების მიღწევაში ნებისმიერი წარუმატებლობის მიუხედავად. იმდენად, რამდენადაც ზოგიერთი იურისდიქცია არ რთავს ნებას დადგინდეს შეზღუდვები იმის თაობაზე, თუ რამდენ ხანს გრძელდება ნაგულისხმევი გარანტიების მოქმედების ხანგძლივობა, ასევე, კრძალავს პასუხისმგებლობის გამორიცხვას ან შეზღუდვას თანმიმდევრული ან შემთხვევითი ზიანისთვის, ზემოთხსენებული შეზღუდვა შეიძლება არ გავრცელდეს თქვენზე.

ზიანის ანაზღაურება

თქვენ თანახმა ხართ ანაზღაუროთ ზიანი, უზრუნველჰყოთ კომპანია „მონდელის“-ის მისი თანამდებობის პირების, დირექტორების, თანამშრომლების, აგენტების, ლიცენზიატორების და მომწოდებლების და გაათავისუფლოთ პასუხისმგებლობისაგან და დაიცვათ ისინი ყველა დანაკარგის, გასავლის, ზარალის და ხარჯისგან, მათ შორის ადვოკატთა შესაბამისი ჰონორარებისა და სასამართლო ხარჯებისგან, რომლებიც წარმოიშვება ამ პირობების ნებისმიერი დარღვევის ან ნებისმიერი საქმიანობის შედეგად და რომელიც დაკავშრებულია ინტერნეტ ქსელში თქვენს სააღრიცხვო ჩანაწერთან (მათ შორის, შეუზღუდავად, დაუდევრობით ან გადაცდომით), ჩადენილია თქვენი ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ, რომელსაც გააჩნია საიტზე წვდომა თქვენი სააღრიცხვო ჩანაწერის გამოყენებით.

Mondelēz International Inc.-ის ფასიანი ქაღალდები.

ამ საიტზე ჩვენ არ ვიძლევით კონსულტაციებს საინვესტიციო საკითხებთან დაკავშრებით და ამ საიტზე განთავსებული მასალები არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება Mondelēz International Inc-ის ფასიანი ქაღალდების გაყიდვის ან ყიდვის შესახებ. თუ თქვენ გადაწყვეტთ გამოიყენოთ საიტზე არსებული ნებისმიერი მასალა გადაწყვეტილების მისაღებად იმის შესახებ ღირს თუ არა იყიდოთ ან გაყიდოთ Mondelēz International Inc.-ის ფასიანი ქაღალდები, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მოცემულ საიტზე განთავსებული მასალები ასახავს მხოლოდ წარსულში არსებულ მაჩვენებლებს და კომპანიის შესახებ ისტორიულ ინფორმაციას, და რომ ასეთი მაჩვენებლები და ინფორმაცია სულაც არ არის მომავალი პარამეტრების განმსაზღვრელი მაჩვენებელი.

ბმულები სხვა საიტებზე

მოცემულმა საიტმა შეიძლება უზრუნველჰყოს წვდომა სხვა ინტერნეტ საიტებზე. კომპანია „მონდელისი“ არ აკონტროლებს ამ საიტების მუშაობას და თქვენ მათ მიმართავთმხოლოდ საკუთარი რისკის საფუძველზე. კომპანია „მონდელისი“ ასევე არ ადასტურებს და არ იწონებს სხვა საიტებზე შემოთავაზებულ პროდუქტებს და/ან ინფორმაციას, რომლებზეც წვდომა თქვენ გაქვთ ამ საიტის ბმულების საშუალებით. იმის დასადგენად, იმყოფებით თუ არა Mon'delēz Rus / Mondelēz International ვებ-საიტზე ან გადახვედით თუ არა სხვა ვებ-საიტზე, შეამოწმეთ URL მისამართი თქვენს ბრაუზერში.

იურისდიქცია

კომპანია „მონდელისი“ აკონტროლებს საიტის მუშაობას და იყენებს ამ საიტს კომპანიის რუსუთის განყოფილებიდან. ჩვენ არანაირი სახით არ ვიძლევით გარანტიას და არ ვიძლევით რაიმე საფუძველს ვარაუდისათვის, რომ საიტის მასალები შეიძლება იქნეს გამოყენებულ რუსეთის ფედერაციის საზღვრებს გარეთ. თუ თქვენ იყენებთ საიტს რუსეთის ფედერაციის საზღვრებს გარეთ, მხოლოდ თქვენ ხართ პასუხისმგებელი ნებისმიერი ადგილობრივი კანონის დაცვაზე. თქვენ არ შეგიძლიათ გამოიყენოთ ან გაუკეთოთ ექსპორტი მოცემული საიტის მასალებს საექსპორტო კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიული აქტების დარღვევით. ნებისმიერი პრეტენზია, რომელიც ეხება ვებსაიტს ან თქვენს მიერ მის გამოყენებას, იქნება დარეგულირებული რუსეთის ფედერაციის კონკრეტული კანონებით, მიუხედავად მისი სამართლებრივი დებულებების წინააღმდეგობრიობისა და თქვენ ეთანხმებით იმას, რომ იურიდიულ და ტერიტორიულ იურისდიქციას, ნებისმიერი სამართლებრივი საქმის გარჩევისათვის, რომელიც წარმოიქმნება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ საიტის გამოყენებით ან მასთან დაკავშირებული რაიმე ფორმით, ფლობენ რუსეთის ფედერაციის სასამართლო ორგანოები.

ვებ-საიტისა და მისი გამოყენების პირობების ცვლილება

ამ საიტზე მასალების მიწოდებით კომპანია „მონდელისი“ არ გპირდებათ, რომ ეს მასალები თქვენთვის ხელმისაწვდომი დარჩება. კომპანია „მონდელისი“ იტოვებს უფლებას შეწყვიტოს მოცემული საიტის მუშაობა მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერ დროს თქვენთვის ამის შესახებ რაიმე შეტყობინების გარეშე. კომპანია „მონდელისი“ ასევე იტოვებს უფლებას შეცვალოს ძირითადი და დამატებითი პირობები და შეტყობინება, რომლის მონაწილეობითაც ის უზრუნველყოფს წვდომას ამ საიტზე და თქვენ მიერ ამ განყოფილების გამოყენება, ნებისმიერი ასეთი ცვლილების შემდეგ, ჩაითვლება თქვენი თანხმობის დასტურად ამგვარი შეცვლილი პირობების გამოყენებაზე. თქვენ თანახმა ხართ რეგულარულად გადაავლოთ თვალი ასეთი გამოყენების პირობებს, რათა შეამოწმოთ ხომ არ შევიდა მასში რაიმე ცვლილება.

წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში იქნება რომელიმე მხარის მიერ შეწყვეტამდე. თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს შეწყვიტოთ ხელშეკრულება ამ საიტიდან მოპოვებული ყველა მასალის, ასევე ყველა დაკავშირებული დოკუმენტაციის, ყველა ასლისა და ინსტალაციის განადგურებით. კომპანია „მონდელისის“ შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ისე, რომ არ შეგატყობინოთ იმის შესახებ, რომ თქვენ, მისი აზრით, არღვევთ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პირობას. ხელშეკრულების შეწყვეტისას თქვენ უნდა გაანადგუროთ ყველა მასალა.

სხვა პირობები

თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პირობა აღიარებულ იქნა უკანონოდ, არავალიდურად ან განუხორციელებელია, ხელშეკრულების დანარჩენი პირობები ძალაში დარჩება. ეს დოკუმენტი წარმოადგენს თქვენსა და კომპანია „მონდელის“ -ს შორის სრულ შეთანხმებას თქვენს მიერ ამ საიტის გამოყენების ყველა ასპექტთან დაკავშირებით.